ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3248946

ნომერი: AR1494974

თარიღი : 11.04.2017

გაცემის თარიღი : 08.05.2017

გაცნობის თარიღი : 08.05.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი ბამბის რიგისა და რკინის რიგის გადაკვეთაზე (მოედანზე) ქ. თბილისი მეტეხის ბურჯების მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეა ლალიაშვილი პ/ნ 01009002890
- ვაჟა ფშაველას I კვარტ. მე-12 კორპ. ბ.29

ორგანიზაცია:
- კალა 2005 კოდი: 204493379

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1494974 11.04.2017წ. განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ბამბის რიგისა და რკინის რიგის გადაკვეთაზე (მოედანზე) ქ. თბილისი, მეტეხის ხიდის ბურჯის მიმდებარედ, (ნაკვეთი N46/27) (ს.კ.01.18.03.046.027) ღია სეზონური საზაფხულო კაფეს მოსაწყობად წერილობით ნებართვის გაცემას გაცნობებთ: რადგან წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, საკითხი განხილულ იქნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ, რომლის დასკვნის საუძველზე საკითხი გადაწყდა უარყოფითად. კომისიის/საბჭოს რეკომენდაციით: წარმოდგენილი იქნეს ახალი ვარიანტი, ახალი ავეჯით და ბარით. სასურველია, მაგიდები განთავსდეს ერთ რიგად.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ოქმის რეკომენდაციების გათვალისწინებით ახალი განაცხადით წარმოადგენთ დოკუმენტაციას, საკითხს კვლავ განიხილავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.